აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი

Аҧснытәи автономтәи республика афинансҟәи аекономикеи аминистр

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 04-02/81

81-01-4-202510171900

17/10/2025

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე პროცენტის დარიცხვის მიზნით მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 30 აგვისტოს №22 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის,,ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე პროცენტის დარიცხვის მიზნით მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი“ თანდართული სახით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე პროცენტის დარიცხვის მიზნით მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2024 წლის 4 დეკემბრის N 01/82 ბრძანება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (თბილისი, ა.კალანდაძის ქ.7ა) ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: სახაზინო დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 16 ოქტომბრის N988 მოხსენებითი ბარათი.

თენგიზ ნასარიძე

მინისტრი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე პროცენტის დარიცხვის მიზნით მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე პროცენტის დარიცხვის მიზნით მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) ჩატარების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილ და სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე (შემდგომში - ფულადი სახსრები) სარგებლის მიღების მიზნით კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს.

მუხლის 2. საკონკურსო კომისიის მიზანი და ამოცანები

1. ფულად სახსრებზე ეროვნულ ვალუტაში მაღალი საპროცენტო სარგებლის მიღების, აგრეთვე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვისა და სხვა ოპერაციების შეუფერხებელი და ხარისხიანი მომსახურების განმახორციელებელ კონკურსს ატარებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) ბრძანებით შექმნილი მომსახურე ბანკის შესარჩევი საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია).
2. კომისიის ამოცანაა, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად კონკურსის ჩატარება, საუკეთესო წინადადების (დანართი N1) წარმდგენი საბანკო დაწესებულების გამოვლენა და მინისტრისათვის რეკომენდაციის წარდგენა.

მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსი ცხადდება საჯაროდ. საჯაროდ გამოცხადებაში იგულისხმება საკონკურსო განცხადების განთავსება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.abkhazia.gov.ge სამინისტროს სექციაში (დანართი 3).
2. კონკურსი ცხადდება ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას - გონივრულ ვადაში.
3. კონკურსის შესახებ ინფორმაცია, კომისიის მიერ შეიძლება წერილობით ეცნობოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებს.

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობა

1. პრეტენდენტი შეიძლება იყოს ნებისმიერი საბანკო დაწესებულება, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს.
2. საბანკო დაწესებულებას, ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენა, ჩაეთვლება კონკურსში მონაწილეობის მიღებად.

3. კონკურსი ტარდება ერთ ტურად.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

1.საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ დღეებში. საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (გარდა შაბათ -კვირის და უქმე დღეებისა).
2.პრეტენდენტმა განცხადება და სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს სამინისტროში. ამასთან, პრეტენდენტთან უკუკავშირის განსახორციელებლად, საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტისა და მობილური ტელეფონის ნომრის მითითება სავალდებულოა.
3. პრეტენდენტის განცხადება და სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია თარგმნილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე და დამოწმებული სანოტარო წესით.
4. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება (დანართი 2);
ბ)საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
გ)საკონკურსო პირობების შესრულების უზრუნველყოფის ერთთვიანი უპირობო გამოუთხოვადი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც ბანკი იღებს ვალდებულებას, კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე გადარიცხოს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;
დ) საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი წინადადება (დანართი N1), კომისიას ბარდება დალუქული ფორმით. პრეტენდენტი შეზღუდული არ არის დადგენილზე უკეთესი პირობა შესთავაზოს კომისიას. პრეტენდენტს არ აქვს უფლება გააუარესოს დადგენილი პირობები.
5. წარდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობას ამოწმებს კომისიის მდივანი.
6. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ – „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კომისია უდგენს ხარვეზს და პრეტენდენტს აძლევს არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ხარვეზის დათქმულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, პრეტენდენტი კარგავს კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლებას.
7. საკონკურსო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (დედანი) ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით. პრეტენდენტი სრულად აგებს პასუხს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.
8.კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულო დოკუმენტების მისაღებად გამოცხადებული ვადის ამოწურვის შემდეგ, კომისია წყვეტს დოკუმენტების მიღებას.
9. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების მიღების ვადის გაგრძელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მინისტრს, კომისიის შუამდგომლობით.
10. მიღებული დოკუმენტები კონკურსის დაწყებამდე ინახება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარესთან.

მუხლი 6. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ერთი პრეტენდენტი მაინც.
2. კომისიის წევრები და პრეტენდენტები ცხადდებიან მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ დროსა და ადგილას და კონკურსის დაწყებამდე გაივლიან რეგისტრაციას.
3. პრეტენდენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა თან უნდა იქონიოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის საზღვარგარეთის პასპორტი).
4. კომისიის მდივანი ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე ამოწმებს პრეტენდენტის წარმომადგენლის უფლებამოსილებას და ახდენს მათ რეგისტრაციას სარეგისტრაციო ფორმის შესაბამისად (დანართი 4).
5. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ, კომისიის მდივანი კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს შემოსული განცხადებების ოდენობას და გამოცხადებული პრეტენდენტების შესახებ ინფორმაციას.
6. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
7. კომისიის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს კომისიის თავმჯდომარე.
8. კომისიის თავმჯდომარე კომისიას წარუდგენს პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციას.
9. კომისია აფასებს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებას, რის შემდეგ, ხმათა უმრავლესობით, იღებს გადაწყვეტილებას დამაკმაყოფილებელია თუ არადამაკმაყოფილებელი პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში პრეტენდენტი კარგავს კონკურსში მონაწილეობის უფლებას. თუ კონკურსში მონაწილე ყველა პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება შეფასდა არადამაკმაყოფილებლად, მაშინ კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.
10. კომისიის თავმჯდომარე, პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაციის კომისიაზე განხილვის შემდეგ, კონკურსის მონაწილეებს გააცნობს ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენ კონკურსანტს და რიგითობის მიხედვით (ყველაზე მცირე საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენიდან ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენამდე) სთავაზობს გააკეთონ განაცხადი საპროცენტო სარგებლის განაკვეთის გაზრდის შესახებ. ბოლო განაცხადს აკეთებს ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმომდგენი პრეტენდენტი. თითოეულ კონკურსანტს 3-ჯერ ეძლევა შესაძლებლობა გააკეთოს განაცხადი საპროცენტო განაკვეთის ზრდაზე. იმ პრეტენდენტის წინადადებაში მითითებული საპროცენტო განაკვეთი, რომლის წარმომადგენელი არ გამოცხადებულა სხდომაზე, ითვლება საბოლოო შემოთავაზებად.
11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ შეცვალონ მათ მიერ კომისიაზე წარმოდგენილი პირვანდელი წინადადება შეზღუდვის გარეშე (არანაკლებ 0,1% ბიჯით), მაგრამ ის უნდა იყოს კონკურსში მონაწილეთა მიერ განცხადებულ ბოლო წინადადებაზე უმჯობესი.
12. კონკურსში ერთი პრეტენდენტის მონაწილეობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს მის მიერ წარმოდგენილ წინადადებას და იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 7. გამარჯვებულის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება

1. გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც კომისიას შესთავაზებს საუკეთესო წინადადებას.
2. კომისიის სხდომებისა და კონკურსის შედეგების თაობაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი და კომისიის სხდომის მდივანი.

3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება კომისიის წევრს შეუძლია გამოთქვას კომისიის სხდომაზე, რომელიც აისახება კომისიის საოქმო გადაწყვეტილებაში.
4. კონკურსზე საუკეთესო წინადადების წარმომდგენი ბანკის გამოვლენის შემთხვევაში, კომისიის სხდომის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში, კომისია რეკომენდაციით მიმართავს მინისტრს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს არაუგვიანეს 7 დღის ვადაში.
5. მინისტრის გადაწყვეტილებით გამოვლენილ გამარჯვებულთან, არაუგვიანეს 5 დღის ვადაში, უნდა გაფორმდეს საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება).
6. თუ კომისიის მიერ ვერ იქნება გამოვლენილი საუკეთესო წინადადების წარმომდგენი ან კონკურსში არცერთმა პრეტენდენტმა არ მიიღო მონაწილეობა, ან მინისტრის მიერ არ იქნა გაზიარებული კომისიის რეკომენდაცია, მინისტრის ბრძანებით, ცხადდება განმეორებითი კონკურსი მომსახურე ბანკის შესარჩევად, ამ წესის შესაბამისად.
7. კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ პრეტენდენტთან, ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით, კონკურსის პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოლაპარაკებების გამართვა ხელშეკრულების ხელმოწერამდე.
8. მინისტრის გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ. საჯაროდ გამოცხადებაში იგულისხმება შედეგების განთავსება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.abkhazia.gov.ge სამინისტროს სექციაში.
9. თუ გამარჯვებული უარს იტყვის ხელშეკრულების გაფორმებაზე ან სხვა შემთხვევაში, როდესაც ვერ მოხდება გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმება, კონკურსის გამარჯვებულად ცხადდება შემდგომი საუკეთესო წინადადების წარმომდგენი პრეტენდენტი ან ტარდება განმეორებითი კონკურსი.

მუხლი 8. საკონკურსო დოკუმენტების შენახვის წესი

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, კონკურსის ჩატარებიდან 3 წლის ვადით, ინახება სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტში.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრი ბრძანებით.
2. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი N1

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განკარგულებაში არსებულ ფულად სახსრებზე პროცენტის დარიცხვის მიზნით მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობები

1. კონკურსის საგანი

1.1. **<u>კონკურსის საგანია:</u>** <u>მომსახურე ბანკში აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის</u> სამინისტროს ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა.
1.2. **საპროცენტო სარგებელი -** რეფინანსების განაკვეთს დამატებული საპროცენტო განაკვეთი -------- (არანაკლები 5,5%).

2. პირობები

2.1. დარიცხული საპროცენტო სარგებელი გადაირიცხება სახელმწიფო ხაზინაში (ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი:300913011).
2.2. დღის ბოლოს ანგარიშზე არსებულ ნაშთ(ებ)ს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ყოველ კალენდარულ თვეს ორ ნაწილად შემდეგი პრინციპით:
ა) საპროცენტო სარგებლის პირველი ნაწილის დარიცხვა განხორციელდება კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღის წინა დღის ჩათვლით და შემდგომ ამ თანხ(ებ)ის გადარიცხვა მოხდება ამავე კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღეს სახელმწიფო ხაზინაში;
ბ) საპროცენტო სარგებლის მეორე ნაწილის დარიცხვა განხორციელდება კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღიდან მოყოლებული ამავე კალენდარული თვის ბოლო კალენდარული დღის ჩათვლით და შემდგომ ამ თანხ(ებ)ის გადარიცხვა მოხდება შემდგომი კალენდარული თვის პირველივე სამუშაო დღეს სახელმწიფო ხაზინაში.
2.3.. გამარჯვებული საბანკო დაწესებულება იღებს ვალდებულებას აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გაუწიოს ხარისხიანი საბანკო მომსახურება წინარე დოკუმენტით გათვალისწინებული პირობების და დამატებით შემოთავაზებული მომსახურების შესაბამისად.

3..საბანკო მომსახურება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოს მართვაში არსებული სახელმწიფო საწარმოებისათვის

3.1. ანგარიშების გახსნა - უფასო;
3.2. ანგარიშის მომსახურების საკომისიო - უფასო;
3.3. კორპორაციული მიმდინარე ანგარიშის გახსნა და მომსახურება - უფასო:
3.4. ნაღდი თანხის ანგარიშზე შეტანა-გატანა - უფასო;
3.5. თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;
3.6.თანხის გადარიცხვა უცხოურ ვალუტაში, როგორც ბანკის სისტემაში, ისე ბანკის სისტემის გარეთ - უფასო;
3.7. ამონაწერის მიღება - უფასო;
3.8. ინტერნეტ ბანკის პროგრამაში რეგისტრაცია - უფასო;

3.9. ინტერნეტ ბანკის პროგრამაში მომსახურება - უფასო;
3.10. ინტერნეტ ბანკით აქტიური ოპერაციების წარმოება - უფასო;
3.11. SMS მომსახურება - უფასო.

4. სხვა პირობები

4.1. მინისტრის გადაწყვეტილებით გამოვლენილ გამარჯვებულთან, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აფორმებს ხელშეკრულებას საბანკო მომსახურების შესახებ.
4.2. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულად გამოცხადებული საბანკო დაწესებულება 5 დღის ვადაში ხელს არ მოაწერს ხელშეკრულებას, თავმდები ბანკი ვალდებული იქნება გადარიცხოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.
4.3. ხელშეკრულება იდება 3 წლის ვადით.
4.4.ხელშეკრულების მოქმედების დაწყება/დასასრული განისაზღვრება მინისტრის ბრძანების შესაბამისად.
4.5.ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელი იქნება:
- მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- საქართველოს კანონმდებლობით და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
4.6. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

საბანკო დაწესებულების
უფლებამოსილი პირი (წარმომადგენელი)

_____
(სახელი, გვარი)

ხელმოწერა: თარიღი

დანართი N2

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს
მომსახურე ბანკის შესარჩევი
საკონკურსო
კომისიის თავმჯდომარეს ----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ)

გთხოვთ, მოგვცეთ უფლება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მომსახურე ბანკის ----- შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღოს:

სს _____

(ბანკის დასახელება)

საიდენტიფიკაციო კოდი: _____; ტელ: _____;

მისამართი: _____;

ელ-მისამართი: _____;

საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირი (წარმომადგენელი): _____

(სახელი, გვარი

უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი)

საკონტაქტო ტელ: _____; ელ-ფოსტა: _____

_____

(წარმომადგენელის შემთხვევაშიდამადასტურებელი დოკუმენტი, თანამდებობა და საკონტაქტო მონაცემები)

ხელმოწერა: **თარიღი:**

დანართი N3

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანთა და ეკონომიკის სამინისტროს მომსახურე ბანკის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 202 წლის „ „ N_____ ბრძანების თანახმად, სამინისტრო აცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსს.

კონკურსის საგანია: მომსახურე ბანკში აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეროვნული ვალუტის ანგარიშზე არსებული ნაშთის სრულ მოცულობაზე დასარიცხი წლიური საპროცენტო სარგებლის განსაზღვრა ----წლის --- თვის -- რიცხვიდან ---- წლის --- თვის -- რიცხვამდე.

<u>კონკურსის ამოცანაა:</u> <u>საუკეთესო წინადადების წარმდგენი საბანკო დაწესებულების გამოვლენა და მინისტრისათვის რეკომენდაციის წარდგენა.</u>

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულმა საბანკო დაწესებულებებმა, რომლებიც საკონკურსო კომისიაში წარმოადგენენ კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებას და საკონკურსო დოკუმენტაციას.

1. კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვროს ---- წელი -- თვე -- რიცხვი; კონკურსის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. N15ა, მე-3 სართული.

2. კონკურსის ჩატარების ზოგადი პირობები:

ა) საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღება განხორციელდება ---- წლის -- თვის ---- რიცხვიდან წლის -- თვის ---რიცხვის ჩათვლით, ქ. თბილისი, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. N15ა, მე-3 სართული, ტელ: ---------

ბ) საბუთების მიღება საკონკურსო კომისიაში იწარმოებს ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირის და უქმე დღეებისა).

3. პრეტენდენტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის შესახებ ლიცენზიის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ბ) საკონკურსო პირობების შესრულების უზრუნველყოფის ერთთვიანი უპირობო გამოუთხოვადი წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც თავმდები ბანკი იღებს ვალდებულებას, კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ, ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადარიცხოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახაზინო ანგარიშზე 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;

გ) საბანკო დაწესებულების უფლებამოსილი პირის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი წინადადება (დანართი N1) დალუქული ფორმით. პრეტენდენტი შეზღუდული არ არის წარმოადგინოს წარდგენილზე უკეთესი პირობა. პრეტენდენტს არ აქვს უფლება გააუარესოს უკვე წარდგენილი პირობები.

4. პრეტენდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის (დედანის) სახით ან ნოტარიულად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამოწმებული ასლის სახით.

5. პრეტენდენტის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

6. პრეტენდენტი კონკურსზე დაიშვება კომისიაში განცხადებისა და დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში სრულად წარმოდგენისა და რეგისტრაციის შემთხვევაში.

7. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება, თუ ერთი მონაწილე მაინც მიიღებს კონკურსში მონაწილეობას.

8. კონკურსი ჩატარდება ერთ ტურად.

9. კონკურსის შედეგები გამოცხადდება საჯაროდ - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.abkhazia.gov.ge აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სექციაში.

შენიშვნა: პრეტენდენტი სრულიად აგებს პასუხს მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობაზე.

დანართი N4

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანთა და ეკონომიკის სამინისტროს მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსზე გამოცხადებულ პრეტენდენტთა სარეგისტრაციო ფორმა

N	დასახელება	წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი	წარმომადგენლის ხელმოწერა	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა	თარიღი საათი

კომისიის მდივანი

ხელმოწერა